საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 195 ხუთშაბათი, მარტის 15 (28) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ბათომი, ყარსი და არტაანი ოსმალეთს სრულებით არ ეკუთვნის.—სა[illegible]მა გასცეს მუსტაფა ეფენდიევი, წევრი [illegible] მოქმედი საზ.—რაჭა-ლეჩხუმის ამბებზე მთავრობას არავითარი ოფიციალური ცნობები არ მიუღია.—სეიმში შეკითხვა იყო ქუთ. კომისარის მოქმედების შესახებ.—ოსმალებმა ოლთისი აიღეს: ეს დამუქრებაა არტაანის, აბასთუმნის, ქუთაისის და ბორჯომ-ტფილისის.—გერმანელებმა ფრანგების ქალაქები აიღეს და პარიზს ემუქრებიან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარიანის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და ყასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

ნინო მიხეილის ასული და გიორგი მიხეილის ძე მეუღლით ხიზანაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი პირველების და და უკანასკნელის მული

კატო ხიზანაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე მეჟევოი ქუჩა სახ. 34. გამოსვენება პარასკევს 16 მარტს დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 308

გულდამწვარი მშობლები ულრმეს მადლობას ვწირავთ ყველა, მათ ვინც წერილით, დეპეშით თუ პირადად ნუგეში მცეს დაუვიწყარი შვილის

ვანიჩკა ივანე კონსტანტინეს ძის კილურაძის

დაკარგვის გამო. 313

ალექსანდრე კრინიცკი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ბათომში ვერაგულად მოჰკლეს ძვირფასი ძმა

ევგენი კრინიცკი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1110

დავით ალექსის ძე და ჰელაგია მიხეილის ასული დავითაშვილები, მათი შვილები: ელენე, ნინო, მიხეილი და მერცია განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 13-ს ამა მარტს გარდაიცვალა დაუვიწყარი შვილი პირველთა და ძმა უკანასკნელთა

კოტე კოტიკო დავითაშვილი

პანაშვიდები საღამოს 1-ს საათზე; გამოსვენება შაბათს, 17-ს მარტს, დილის 9 საათზე; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. მისამართი: თამარის-ქ. № 40. 310

11 მარტს ახალ-სენაკში მოჰკლეს პორუჩიკი

დომენტი შარვანის ძე ჯაბავა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მოკლულის მშობლები და მეუღლე დაკრძალვა 22 მარტს, სოფ. ბორჩაში (ზუგდიდის მაზრაში). 314

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 15 მარტს, გაიმართება

დიდი საგლადიატორო წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება მხიარული კაბარე კაფეშანტანი ჭიდაობს 3 წყვილი: 1. ჯორჯ-მორა და ჩურკინი; 2. რაგო და მანკო, 3. მედელაური დობრინინა. დასაწყისი 8 საათ. დასასრული 11 ს. 311

ღვინო

ღვინის ბარათები იძლევა ორი თვით, ღვინის ბარათების ტალონები ნოემბრის, დეკემბრის და იანვრისა გამოსადეგია მარტს, აპრილს და მაისში. ღვინის ბარათები მიეცემათ მესამე სერიის (აპრილის, მაისის და ივნისის) სასურსათო ბარათების წარდგენის მერე.

1105 საბარათო სისტემის განყოფილება ქალაქის გამგეობასთან.

ქართული კლუბი დილის წარმოდგენა

კვირას 18 მარტს 1918 წ.

მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. დამსახურებულ მსახიობთა ვალ. გუნიას და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა

და-ძმა

5 მოქ. 6 ს. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ.ქ. ნ. ჯავახიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ბ.ბ. ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. ბარველი, ი. ქეიძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. მატარაძე, ი. კობახიძე, სარაული ი. თარალაშვილი და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

დასაწყისი დღის სრულ 12 ს. 1071 რეჟისორი შალვა დადიანი.

შაქარი
სახლის კომიტეტებს

საბარათო განყოფილება სთხოვს ყველა სახლის კომიტეტს

თავის დროზე აილონ სასურსათო ბარათები (შაქრის, ნავთის და სხვ.), რადგან თვის უკანასკნელ რიცხვებში დიდ-ძალი ხალხი მოაწყდება ბარათების ასაღებად.

1107 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკავებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი წყაროს წყალი. არის ვანები, პიანინო და სხვ... სახლიდან მოჩანს საუცხოვო სანახაობა,..

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили). 1106

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს და ვაჭართა და მრეწველთა კავშირის სასარგებლოდ შემოწირულების გაწერა უკვე დამთავრებულია, სიები დამზადებულია. ვაჭრები და მრეწველები ვალდებულნი არიან მათზე გაწერილი ფული დაუყონებლივ შეიტანონ, რადგან იმ განსაცდელის დროს, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ყოველივე დაგვიანება დანაშაული იქმნება.

გაწერილი ფულიდგან ოთხმოცდა ათი ასეული (90%) გადაეცემა ეროვნულ საბჭოს, ხოლო 10% ვაჭართა და მრეწველთა კავშირს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საბჭოს თავმჯდომარე ნ. წვერავასთან და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა იქმნას შეტანილი ამიერკავკასიის ბანკში საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე № 346. 1099

დაიკარგა ძაღლი

პატარა, ოქროს ფერი. სახელად ჟულიკს ვეძახდი. ვინც რამე იცის ან მიპოვნის, კარგ საჩუქარს მიიღებს. მისამართი: პეტრე-დიდის ქუჩა № 30 ი. ზარდალიშვილი. 309

შემთხვევით იყიდება

ძალიან მაგარი და ლამაზი რკინის „კასა“ ნახვა შეიძლება 12—2 საათამდე. ვეძინის ქუჩა № 28 ლევან არჩვაძე თაწმინდაში. 312

ტფილისი, 15 მარტი 1918 წ.

სახელმწიფოებრივი ქაოსი. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია სარკეა ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი დელეგაცია მათემატიკური სისწორით გამოხატავს სამშობლოში, ამიერკავკასიაში არსებულ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ძალთა განწყობილებას,

ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა, თავის დროზე რადიოთი გადმოგვცა მთავარი მუხლები და დებულებანი საზავო მოლაპარაკებისა. დელეგაციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებით კი იმ მხრივ, რომ ჩვენ საშინაო პოლიტიკაში შეცდომები ავიცდინოთ, სწორი გზა გამოვნახოთ და თავი დავაღწიოთ სახელმწიფოებრივ ქაოსს.

ამიერკავკასია დღეს არც რუსეთია, არც ამიერკავკასიაა, ის არც სახელმწიფოა, არც პროვინციაა. ეს საარაკო ამოცანა თავს გვიმტვრევს ადგილობრივ მოლვ წეს და დღეს თავს უმტვრევს არა მარტო ჩხენკელს ტრაპიზონში, რადგან ბეიც თავეც შეიძლება მალე გასკდეს შარადებისა და ამოცანების ძიებით.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ვერ მოხერხდა და თითქმის ორი მესამედით გააჭიანურა კონფერენციის მუშაობა. ამ მხრივ ტრაპიზონის მოლაპარაკება იშვიათი და უმაგალითო მსოფლიოს ცხოვრებაში.

— რა ენაზე ლაპარაკობთ სახელმწიფოში?

— რა სარწმუნოებაა?

— რამდენი ერია?

— რა არის სახელმწიფოებრივი საზღვარი?

ყველა ეს პრიმიტიული საკითხი სულ უადგილო და შეუწყნარებელია ორ თანასწორ უფლებით აღჭურვილ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის. ასეთი კითხვები წარმოუდგენელია საზავო მოლაპარაკებაზე, ის თავისდაუნებლიეთ ბღალავს იმ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, რომლის მაძიებლობას ამიერკავკასიაში დღეს ყველა ერი კისრულობს.

ეს ანორმალური სახელმწიფოებრივი მდგომარეობა დღესაც არ არის დასრულებული. ის რუსები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამიერკავკასიის ერებს არ ძალუძთ დიდი საკითხების საკუთარის საშუალებით გადაწყვეტა, აი ეს რუსები დღეს ახალ არგუმენტს ხედავენ, რომ ჩვენ მართლა ვერაფერს გავარიგებთ ჩვენს ცხოვრებაში. ყველაზე მეტად ვლაპარაკობთ რეალიზმზე, ძირიდან სახელმწიფოს აშენებაზე, მაგრამ ბრმა უნდა ვიყოთ და არ დავინახოთ, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმაცია დღეს იწყება არა ჩვენში, დემოკრატიის საშუალებით, არამედ ტრაპიზონში დიპლომატიის მეოხებით. ასეთია ამიერ-კავკასიის დემოკრატიის „ბრწყინვალე“ მუშაობა. დემოკრატიული ფრაზეოლოგია, რეაქციონური და ბურჟუაზიული ეტაპი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა—აი ლეიტ-მოტივი მიმდინარე ცხოვრებისა და ყოველივე კი ეს ხდება სოციალიზმის და რევოლუციის სახელით!!

მთელი წლის განმავლობაში ჩვენ გამოურკვეველნი ვიყავით. დავკარგავ ყოველივე რწმენა საზოგადოდ გამორკვეულობისა და რისამე გაკეთებისა, ვერ გავიმიჯნეთ ერებთან და არც ის ვიცით გავიმიჯნებით კი როდისმე, რომ სამოღვაწეო ასპარეზი ერებმა იცოდნენ. დღეს ირკვევა, რომ ჩვენ არა თუ საშინაო მიზნები ვიცით, არც საგარეო მიზნები გვცოდნია! სახელმწიფო, რომელსაც ტოპოგრაფია ვერ შეუმუშავებია, სახელმწიფო, რომელსაც არც საშინაო და არც საგარეო სახელმწიფო მიზანი არ აქვს—აი რას წარმოადგენს დღეს რევოლუციონური ამიერ-კავკასია.

ასეთს მდგომარეობაში უბედურია ერები, უბედურია მთავრობა, შესაბრალისია გეგეჭკორ—ჩხენკელთა მოღვაწეობა, რომელთაც ქაოსის წიაღში უწევთ მუშაობა.

არ არსებობს არავითარი არგუმენტი ასეთი ქაოტიური მდგომარეობის გასამართლებლად. ეს ქაოსი ამიერკავკასიის ერების მტრებისათვის არის სასარგებლო, ყველა ის ერი და ძალა ეტრფის ამ ქაოსს, რომელთათვის საზღვრების გამორკვევა სახელმწიფოსი და ერებისა—საზარალოა. ჩვენში არიან ძალები, რომელთაც არც სურდათ და არც ეხლა სურთ ამიერკავკასიამ საერთოდ და ერებმა შიგ გამოარკვიონ თავიანთი სფერო მუშაობისა, სოციალ-დემოკრატია ლერწამივით იხრიქებოდა ამ ძალთა ინტერესების წინაშე და აი დღეს ამ პოლიტიკის ნაყოფად მივიღეთ საერთაშორისო სკანდალი, ვიწვნიეთ სახელმწიფოებრივი ბურუსი, ვიწვნიეთ ქრონიკული სამინისტრო კრიზისი და ყოველგვარი მუშაობის შეფერხება.

ჩვენი ქვეყნის მესვეურნი არც დღესაც ცდილობენ გადადგან გადამწყვეტი ნაბიჯი და ამიერ-კავკასია განთავისუფლონ სახელმწიფოებრივ ქაოსის მდგომარეობიდან. დღესაც გვეუბნებიან სიბრძნის პოლიტიკას და სიბრძნის სახელით შორეულ ყუთში სდებენ ელემენტარულ საქმეებს. ერთი წლის განმავლობაში სიბრძნის ძახილმა ქაოსი შეგვიქმნა და დღეს თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატია თავის თავს, თავის სავნებს ვერ მიაგნებს, ვერაფერს გაარკვევს და გადაჭრის თუ თავიდან არ მოიშორებს იმ ყალბ სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებრივ ქაოსის წიაღში სცოცხლობს და თავის მდგომარეობას სხვათა, გარეშე ძალთა შეურიგებელ ინტერესების ქვედილზე აფუძნებს.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულება. როგორც მკითხველებმა უკვე იციან ოსმალეთის საზავო დელეგაცია, თანახმად ოსმალეთის მთავრობის დავალებისა, მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას და ყარსისა, არდაგანისა და ბათომის ოლქების დაცლას. მაგრამ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა ასეთი კატეგორიული ხასიათისა არ არის. ზემოხსენებული ხელ-შეკრულების მეოთხე მუხლში აი სხვათა შორის რასა ვკითხულობთ „რუსეთი ყოველნაირ ზომებს მიიღებს, რათა უზრუნველჰყოს განთავისუფლება აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებისა და კანონიერი [illegible] ოსმალეთისა. არდაგანიდან, ყარსიდან და ბათომიდან დაუყოვნებლივ უნდა გაყვანილ იქნას რუსის ჯარი. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოებრივ საერთაშორისო უფლებრივ ურთიერთობაში და მცხოვრებლებს საშუალებას მისცემს ახალი წეს-წყობილება დაამყაროს, ზემოხსენებულ სახელმწიფოთა და სხვათა შორის ოსმალეთთან შეთანხმებით“.

როგორც ჰხედავთ, ამ ხელ-შეკრულების თანხმად, რუსეთის მთავრობამ თავის თავზე მხოლოდ ორი ვალდებულობა მიიღო. მან უნდა ზომები მიიღოს რუსის ჯარის გასაყვანად და არ ჩაერიოს ამ ურთიერთობის დამყარებაში, რომელსაც ზემოხსენებული ოლქები მოისურვებენ როგორც ოსმალეთთან, ისე მის იმ მოკავშირეებთან, რომლებმაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ამ ორი ვალდებულებიდან, რომლებიც რუსეთის მთავრობამ მიიღო თავის თავზე, სრულიადაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს ოსმალეთს შეუძლიან თავისად გამოაცხადოს ზემოხსენებული ოლქები. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოდაც რომ ჩავთვალოთ ჩვენთვის, ოსმალეთის პრეტენზიები არ შეიძლება წავიდეს იმაზე შორს, რომ არდაგანისა, ყარსისა და ბათომის ოლქებმა თვითონ გამოარკვიონ თავიანთი ბედი რეფერენდუმის საშუალებით. თუ ოსმალეთის ჯარი შევიდა ზემოხსენებულ ოლქებში, ეს დარღვევა იქნება იმ ხელშეკრულობისა, რომელსაც სხვათა შორის ოსმალეთმაც მოაწერა ხელი. ამიტომ, როდესაც ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე საერთაშორისო უფლებას ემყარება და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას

ასრულებას საერთაშორისო უფლების ძალით მოითხოვს, იგი სინამდვილეს ჰღალატობს. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა ოსმალეთს უფლებას არ აძლევს ზემოხსენებული სამი ოლქის ბედი გამოარკვიოს. ეს თვით ოლქების საქმეა. ამრიგად, ჩვენ სავალდებულოდაც რომ ვსცნათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა, ოსმალეთს უფლება არა აქვს სამი ოლქის საქმეში ჩაერიოს და მისი სახელმწიფოებრივი, **საერთაშორისო** მდგომარეობა გამოარკვიოს. თუ ოსმალეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ბათომისა და ყარსის ოლქების გადაცემა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ იგი პატივს არა სცემს იმ საერთაშორისო აქტს, რომელსაც თითონ მოაწერა ხელი და ძალით ჰსურს მიითვისოს ის, რაც მას არ ეკუთვნის.

იქნება სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ოსმალეთის დელეგაციას არ მოუხურგებია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის წარდგენა კონფერენციაზე. იქნება სწორედ ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ მან განაცხადა, ჩვენი უფლება ჩვენს ძალას ემყარებაო. თუ ეს ასეა, მაშინ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ტყუილადღა ეფარება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას. ეს ხელშეკრულობა მას უფლების ძალას არ აძლევს.

ქართული პრესა

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოიტანეს ჟურნალი „პირველი ნაბიჯი". ეს ჟურნალი ტფილისში გამოდის, 67 ნომერი დაბეჭდილა, მიმდინარე პოლემიკის ხალისიც აძვრია და აი რას სწერს ჩვენ შესახებ:

„... ასეთი ხალხი პროგრამული ფორმით ერთგვარ **მოხეტიალე ჯოგს** წარმოადგენს. ის ბუნებრივ და სულითა და გულით კონტრ-რევოლუციონერია. ჩვენში ასეთ მოხეტიალე ხალხს წარმოადგენს „სოც.-ფედერალისტები. ამ პარტიის შემადგენელი ელემენტები — ღვდელმთავრები, სხვილი ბურჟუაზია და მემამულეები".

ამ აბდა-უბდას ჩმახავს ჟურნალი, რომელსაც მარქსის სურათი მიუკრეგბია, ის ადამიანები, რომელთა პროგრამა და პოლიტიკა ქარის წისქვილის ბორბლებსავით ტრიალებს, და როდესაც ყველა არჩევს და იცის ვინ რა სულს ატარებს.

მართლა ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ბრიყვულ აზრებს დაუჯეროს.

შეუწყნარებელი პოლიტიკა

ერთხელ სოკრატი აგორაში წავიდა, გზაზე კრიტონს შეხვდა, ხელის დაქნევით ის გააჩერა და შემდეგი კითხვა მისცა.

— მითხარ, კრიტონ. ფეხსაცმელი რომ გაგიხიდეს, შეუძლებელი იყოს შენთვის თავისუფალი, უმტკივნელო სიარული, ვის მიმართავ ვენების მიზეზის გამოსარკვევად და მის მოსასპობლად?

— მეწაღეს!—უპასუხა სრულიად დაუფიქრებლად კრიტონმა.

— მართალია. შენი სახლის კედელი რომ შეჰძრეს, დაზიანდეს, ვის დაუძახებ, რომ უბედურება თავს არ დაგატყდეს?

— ხუროს,—გადაჭრით უპასუხა კრიტონმა.

— სისწორეა. საყვარელი მამა ან დედა, ცოლი ან შვილი, ან სხვა ვინმე ავად გაგიხდეს, ვის დაუძახებ, კრიტონ?

— ექიმს! თამამად გასცა პასუხი კრიტონმა.

— ჩინებულია; მაგრამ მითხარ კრიტონ, სახელმწიფო, რომ გასაჭირ მდგომარეობაში და განსაცდელში იყოს, ვის დაუძახებ, ვის მიმართავ?

განცვიფრება გამოიხატა კრიტონის სახეზე. ცოტაოდენ დაფიქრების შემდეგ კითხვის სახით უპასუხა:

— ნუ თუ ხუროს?

სოკრატმა ღიმილით და უარყოფით თავი გააქნია.

— ექიმს?.. ქიმიკოსს?.. მასწავლებელს?... კრიმინალისტს?... ჟურნალისტს?..

სოკრატი განაგრძობდა უარყოფით თავის ქნევას. კრიტონი შეკრთა, რამოდენიმე ხნით ხმა გაიკმინდა, დასდუმდა. შემდეგ უეცრად ვითომდა ახალი აზრით გამოფხიზლებულმა დაბეჯითების ტონით წამოიძახა:

— ადვოკატს!

მაგრამ მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ დაინახა, რომ სოკრატი არ დაეთანხმა და უარყოფით თავის ქნევას განაგრძობდა.

— მაშ ვის უნდა მივმართოთ?— ჰკითხა დაღონებულმა კრიტონმა.

— სახელმწიფო მოღვაწეს, მცოდნეს იმისა, რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება—წყნარად და სიმტკიცით სთქვა სოკრატმა.

კრიტონი გაშტერდა...

— ნუ თუ?—პირველად მესმის.

ეს საუბარი „სოკრატის შესახებ მოგონებებში" არ არის. მე ის გადმოვიღე... მაგრამ საიდან ეს სულ ერთია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას არა თუ სრულიად განსხვავებული ადგილი უკავია მეცნიერებათა შორის არამედ ყველა სპეციალობათა შორისაც.

ყოველ სერიოზულ და საძნელო საკითხის შესახებ, რომელსაც ცხოვრება წამოგვიყენებს, სპეციალისტებს, მცოდნე პირებს მივმართავთ ხოლმე. დღეს კი საჭირ-ბოროტო საკითხები მართვა-გამგეობის შესახებ სულ სხვა გზით წყდება. საყვედურს არავის ვეუბნები. მხოლოდ საზოგადო ინტერესი გვალამარჯებს და აგრილეგ ინტერესი იმ კლასისა, რომლის უზენაესი სახელით სწარმოებს ყველაფერი. მართვა-გამგეობაში და მის აღმასრულებელ აპარატზე არის დამყარებული ხშირად ერთა და სახელმწიფოთა ბედი. უკიდურესი სიძნელე და მასთან ერთად ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური გასაჭირი სხვათა შორის იმაში გამოიხატება, რომ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ ავტორიტეტული ერთსულოვანი მთავრობის შექმნა და შესაფერისი, მისთვის საჭირო აღმასრულებელი აპარატის მოწყობა.

აი რა განაცხადა მთავრობის მეთაურმა 7 მარტს სეიმში:

ფიქრობთ თუ არა ზურგი გაუმაგროთ თქვენი თანაგრძნობით მთავრობას? თუ საქმით ეს მალე არ მოხერხდა, მაშინ უკეთესი იქნება დაისვას საკითხი ერთი-ერთმანეთისაგან განშორებისა. უნდა ითქვას, რომ თქვენ შორის რწმენა ერთიმეორისა არ არის. მარტო ლამაზი სიტყვებით რომლებიც ყველა ჩვენგანს გვეხერხება, მთავრობა ვერ გაძლიერდება იცით თუ არა თქვენ, რომ თვითეული პარტია საკმაოდ მხარს არ უჭერს მთავრობას?

ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა მიუხედავად იმისა, რომ დღეს ახალი კაბინეტის შემადგენლობა გვაქვს, ვინაიდან კაბინეტში რამოდენიმე ახალ პირის შეყვანა სრულიადაც არ სპობს მთავრობის არსებულ სისუსტეს, მისი სერიოზული ავადმყოფობის მიზეზს. პოლიტიკური კომბინაცია, რომელზედაც აშენებულია ამიერკავკასიის თანამედროვე მთავრობა, შეუცვლელი რჩება. ამიერკავკასიის სეიმი დღევანდელი შემადგენლობით იმგვარი პოლიტიკური, საკანონმდებლო დაწესებულებაა, რომლის ბადალს მსოფლიო ისტორიაში ვერ ნახავთ: ხელოვნურად არის შექმნილი და არ არის მატარებელი არც ბუნებით ფიზიკური ძლიერებისა და არც ბუნებით მორალური ძალისა.

თუ დავაკვირდებით სეიმის დღემდის მოქმედობას, მის საკანონმდებლო მუშაობას, ჩვენი შეხედულება სავსებით გამართლდება. დღეს კონსტიტუციონალური პრობლემა გადაწყვეტილი უნდა იყოს, სახელმწიფოს წეს-წყობილების ფორმა შემუშავებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მთავრობა მატარებელი რეალური უფლებისა; ის იქნება აღჭურვილი საზოგადოების ნდობით, ის იქნება ავტორიტეტული... დღევანდელი კაბინეტი ევ. გეგეჭკორის მეთაურობით ისევე იმ მდგომარეობაში იქნება, რომელიც თვით გეგეჭკორმა საუცხოოდ დაახასიათა. სეიმს თან სდევს პოლიტიკური სიყალბე: იქ არ არსებობს, არ ბატონობს საერთო პლატფორმა, ვინაიდან იქ რაღაც ინტერესთა დიდი წინააღმდეგობაა, სხვა და სხვაობა. სეიმში უფრო დიპლომატიური თამაშია, ვიდრე საკანონმდებლო მუშაობა.

უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან მართვა-გამგეობის საგუბერნიო, სამაზრო, სასოფლო ადმინისტრატიული და სხვა ორგანოები. ხშირად ამიერკავკასიაში სოფელს, მაზრას, გუბერნიას განაგებენ პირნი, რომელნიც არ არიან შემკობილნი მართველთათვის საჭირო ღირსებით; ხშირად სრულიად მოუმზადებელი არიან ეს პირნი, არ იცნობენ იმ საქმეს, რომელსაც წინ უძღვიან. ამით კი საერთო საქმე ფერხდება, საზოგადო ინტერესი ილახება, მდგომარეობა რთულდება.

ჩვენ დიდად გვახარებდა და გვახარებს ის გარემოება, რომ სოციალიზმის წარმომადგენლები ჩაუდგნენ საზოგადო და სახელმწიფო საქმეებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისინი გახდნენ მართვა-გამგეობის ტეხნიკებად და პრაქტიკებად. ეს არც ასე ადვილი საქმე იყო და არის ამ გარდამავალ, რევოლიუციონურ ხანაში. მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს ნებას, ხელი დავაფაროთ ჩვენს დანაკლის და ყოველი ნაბიჯი დღევანდელ მთავრობისა და მისი ორგანოებისა ყოველ შემთხვევაში სამართლიანად ჩავთვალოთ. ბევრია შეცდომა და მოვალენი ვართ აღვნიშნოთ მიზეზები ამ შეცდომებისა.

ნ. ჟორდანიამ 7 მარტს სეიმში მთავრობის მეთაურის განცხადების შემდეგ აი რა წარმოსთქვა:

მთავრობის მეთაურის უკანასკნელი განცხადების გამო უნდა აღვიაროთ, რომ მართველობის სიმძიმე ჩვენი, მენშევიკების ფრაქციას, გვაწვება.

ნ. ჟორდანიას ამ აზრს თუ გავაფართოვებთ, შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ მთელი ძალა-უფლება ამიერკავკასიაში სოც.-დემოკრატიის მენშევიკების ფრაქციის ხელთ იყო. ეს ფრაქცია გადაიქცა ჩვენში მმართველ კლასად. ნებსით თუ უნებლიეთ სხვა მიმართულების და პარტიის წარმომადგენლებს ამა თუ იმ უფლების მატარებლად ვერ გულობდნენ, ხშირად კიდევაც სდევნიდნენ... აქ რასაკვირველია, ერთგვარი მიზეზი და მიზანი იყო. ეს ჩვენ დღეს სრულიად არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაწუხებდა მხოლოდ ის გარემოება, რომ სოც.-დემოკრატიის ამგვარი მოქცევა და მოქმედება თანამედროვე მმართველ კლასის და სხვა მოწინავე, პროგრესიულ ელემენტებს შორის ურთიერთის შეგნების და შეთანხმების შეუძლებლობას ჩვენში ქმნიდა და წინდახედულად არ მიგვაჩნია ამგვარი პოლიტიკა.

დღეს ლიდერი პარტიისა და მეთაური მთავრობისა—ორივენი გრძნობენ თანამედროვე მართვა-გამგეობის სიძიმეს და სირთულეს, ვითომ გრძნობენ იმასაც, რომ ერთი პარტიისათვის შეუძლებელია მთელი მართვა-გამგეობის სიმძიმის მოხვევა. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ერთგვარ გამოფხიზლებასთან. თანამედროვე სერიოზული მდგომარეობა, განსაცდელი რევოლიუციისა და ჩვენი ერისა, ყველაფერი მოითხოვს ერთსულოვნებას, შეერთებული ძალით მოქმედებას, მთელი საზოგადოების, ერის გაერთიანებას, და თუ ამას დღემდის ვერ მივაღწიეთ, მაშ ის გზა, რომლითაც მმართველი კლასი ვიდოდა, ის პოლიტიკური კომბინაცია, რომელზეც ის ამყარებდა თვის მოქმედებას, არ ყოფილა სწორი. აქედან გამომდინარეობს საჭიროება დაუყონებლივ ზომების მიღებისა. მმართველმა კლასმა ეს პოლიტიკური სიბრძნე უნდა გამოიჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვიან იქნება.

ალ. მდივანი.

ინერციის ბელადები

ერთის წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიის ბელადნი „ღრმავდნენ" რევოლიუციას და ეს გაღრმავება მარტო იმაში გამოიხატა, რომ ვნებითარებდით რღვევის პროცესს: იზრდებოდა კრიზისი ეკონომიური და ფინანსიური, მწვავდებოდა ეროვნული და სოციალური ვითარება და ლამაზის ფრაზეოლოგიით ხელოვნურად იფარებოდა ის უფსკრული, რომლის წინაშე დღეს ერთბაშად დადგა ქართველი ერი. ერთი წლის თავზე მთელის სიღრმით დაისვა საკითხი არა მარტო რევოლიუციის მონაპოვარის განადგურების, არამედ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობისაც.

აშკარაა, ეხლა დრო არ არის დაწვრილებითი ანალიზისა, ეხლა ჩვენ იარაღის ქვეშ ვდგევართ და ჰორიზონტისაკენ ვიცქირებით, ვფხიზლობთ მტერი არ შემოგვეპაროს, ჩვენი სხეული იდუმალ არ დაასახიჩროს.

მაგრამ განა საჭიროებს დაწვრილებითი ანალიზი? განა უბრალო წუთიერი თვალის გადავლება კი არ გარდაშლის ჩვენს წინაშე მთელ იმ შეცდომებს, რომელმაც ამიერ-კავკასიაში ეროვნული ურთიერთობა გაამწვავა და გარეშე მტერს მადა გაუღვიძა?

რა მოხდა, რა გააკეთა ამიერ-კავკ. დემოკრატიის ბელადმა მთელი წლის განმავლობაში, რომ დღეს ყოფნა არ ყოფნის წინაშე არ დავმდგარიყავით?

ჩვენ არ შევუდგებით იმ საშინელ შეცდომებს და ცოდვებს, რომელიც მათ ჩაიდინეს „მთლიან რუსეთის" მასშტაბით, იმ პოლიტიკამ, რომლის ინერტობამ მთელ რუსეთის დემოკრატიას სრულიად შეუგნებლად, მარტო უკმაყოფილების და ოპოზიციის ნიადაგზე ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მოუყარა თავი... ეს, მგონი, მათთვისაც ნათელია დღეს, როცა სრულიად რუსეთის მასშტაბს ძალიად მოსწყვიტეს და ამ.-კავკ. პატარა მასშტაბს მიუყენეს.

საუბედუროდ, აქაც ამ მცირე მასშტაბსაც სრულიად ახასიათებს იგივ დამღუპველი. იგი დამრღვევი პოლიტიკა. რევოლიუციის ცეცხლი ვიწრო წრეებში ანთია, მაგრამ წვერილა ფრაზეოლოგიაში იწვევა და იხარჯება მთელი ენერგია. თუ რევოლიუცია განახლება [illegible] დაფუძნება [illegible] სოციალურ ურთიერთობაში [illegible] გეკითხებით, — სად არის ეს ახალი? რომელ დარგში შეიქმნა იგი? ან შეიცვალა ვინმე რადიკალურად გარდაიქმნა ძველი წყობილება, გასცილდა სადმე რევოლიუცია რეზოლიუციას?

საქე ჩვენის ცხოვრებისა 1 წელიწადზე მეტია გადავიდა ამ „ბელადების"-ს ხელში და განა მათ ეს საქე მიმართეს სადმე, გაარკვიეს რაიმე მიზანი?

ჯერ მთელი ენერგია შეალიეს ნახევრად დარღვეულ რუსეთის შეკოწიწებას და იოანე კალიტას ტომარაში გვეპირებდნენ ყველას მოქცევას, რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიქმნა ალფა და ომეგა მათი მრწამსისა.

აი, მთელი მათი შემოქმედება, მთელი აქტიობა 1 წლის რევოლიუციისა. აი რას მოანდომეს ყველა რეზოლიუციები თეთრ და ყვითელ დარბაზებისა. მაგრამ ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.. და ამ შეცვლაში არავითარი წილი არ უდევს ჩვენს „ბელადებს". მათმა სქელმა კანმა ვერაფერი იგრძნო და მარტო ინერციის პოლიტიკა და ტაქტიკა ახასიათებდა მათ. გადაჭარბებული ობიექტივიზმი, რომელიც მუდამ ახასიათებდა ამ ჯგუფს, კიდევ ვერ მისულა თვის ბუნებრივ საზღვრებამდე... მთელი 1 წლის რევოლიუციის მსვლელობაში ისინი ამ რევოლიუციის გარეშე იდგნენ, მის სიღრმეს და ძარღვის ცემას ერთხელაც არ დაწვდნენ.

გიკვირთ? შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც თავის დროზე ყველასათვის ცხადი გახდება. აბა, ერთი ღირს-შესანიშნავი, ცხადი რეფორმა მაჩვენეთ, რომელიც თავის ინიციატივით, საკუთარ გზის მიმართვით გაეტარებინოს ამ ჯგუფს?

რუსეთის დამფუძნებელ კრების მესიანიზმის დატოვება, აი, პირველი, რეალური ფაქტი. როდის დაადგა ჩვენი ს.-დ. ამ გზას? როცა დამფუძნებელი კრება გარეკეს, როცა მისი ხელ ახალი შეკრება აკრძალეს და მაზე ფიქრიც კი უნიადაგო ოცნებად აქციეს. აქ, ცხადია, ს.-დ. არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რაც ყოველ მიყრუებულ მხარესათვის ნათელი რეალობა იყო. და ჩვენმა ს.-დ., როგორც რევოლიუციის პროცესის გარეშე მდგომმა, სრულიად ობიექტიურმა და უაქტო პარტიამ ყველაზე ბოლოს და გვიან შეითვისა, შეირიგა ეს აზრი.

მეორე მნიშვნელოვანი აქტი იყო ამიერკავკას. მთავრობის შექმნა, ახალ სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ტერიტორიალური დეცენტრალიზაცია.

შექმნეს ეს ამიერ-კავკ. ბელადებმა? რასაკვირველია, არა. ეს ობიექტივის-

კანონი მიწის შესახებ.

ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონი მიწის შესახებ. იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე აღიმართა შავი აჩრდილი ოსმალეთის შემოსევისა და საზარელი პოლიტიკური მონობისა, კანონს მიწის შესახებ საზოგადოებამ იმდენი ყურადღება ვერ მიაქცია, რამდენსაც თვით საკითხის სირთულე მოითხოვს. კანონი კი იდენად ძირითადად სწყვეტავს საკითხს და ისეთი დიდი ცვლილება შეაქვს სოფელში, რომ შეუძლებელია როგორც კანონი, ისე ის შედეგები, რომლებიც კანონის განხორციელებას მოჰყვება, საფუძვლიანად არ იყოს შესწავლილი და გაშუქებული.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სეიმის მიერ მიღებული კანონი მხოლოდ ერთი დეტალია იმ კანონმდებლობისა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიქმნას ზემოხსენებული კანონის გამოქვეყნების შემდეგ. თუ მიღებულ კანონს დაუყონებლივ ზედ არ დაჰყვა მრავალი კანონი, რომლებიც აწესრიგებენ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სხვა და სხვა ფორმებს, ეს კანონი თავის საპატიო დანიშნულებას ვერ მიაღწევს.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კანონის სული და გული ის არის, რომ იგი მიზნად ისახავს მოაწესრიგოს ურთიერთობა მამულის პატრონსა და იმის შორის, ვინც პრეტენზიას აცხადებს ამ მამულზე. ჩვეულებრივი ფორმა **აგრარული** მოძრაობისა ჩვენში იყო ამასთანავე ერთად **წოდებრივი** მოძრაობა. ერთის მხრით იდგა თავადაზნაურობა, როგორც წოდება, მეორის მხრით გლეხობა, აგრეთვე როგორც წოდება. რადგანაც მამულის პატრონად, მემამულედ უპირველესად ყოვლისა თავადაზნაურობა იყო ხოლმე მიჩნეული, ამიტომ აგრარულ მოძრაობას ყოველთვის თავადაზნაურობის საწინააღმდეგო მოძრაობის ხასიათი ეძლეოდა, ზოგან ეს მოძრაობა ორგანიზაციულად სწარმოებდა, ზოგან კი, სადაც ნაკლები შეგნება იყო, მოძრაობას ანარქისტული ხასიათი ეძლეოდა, როგორც, მაგალითად, გორის მაზრაში. მაგრამ არსებითად მაინც აგრარულ მოძრაობას ჩვენში ყოველთვის წოდებრივი ხასიათი ჰქონდა.

ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტით წოდებრივობა ჩვენში მოისპო. მაგრამ დეკრეტს, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შეეძლო ის წოდებრივი ფსიქოლოგია, რომელიც წლობით მუშავდებოდა და დიდი ტრადიციები ჰქონდა, ერთბაშად მოესპო. მიუხედავად წოდებრივობის დეკლარატიული გაუქმებისა, ცხოვრებაში ეს წოდებრივობა, როგორც ტრადიცია, განაგრძობდა ცხოვრებას და ეხლაც განაგრძობს. საჭიროა ახალი თაობა აღიზარდოს ახალ პირობებში, რომ საზიზღარი ნაშთი წოდებრივობისა და ტრადიციები ძველი წყობილებისა აღიგავოს დედამიწის ზურგიდან.

სეიმის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ არსებითად სცვლის მდგომარეობას. იგი აგრარულ მოძრაობას უკარგავს წოდებრივობის ხასიათს და აძლევს **კლასიურს**. სეიმის მიერ მიღებული კანონის შემდეგ სოფელში ფატალურის აუცილებლობით ერთმანეთს დაუპირდაპირდება არა გლეხი თავადაზნაურობას, არამედ მამულის პატრონი უმამულოს. იმდენად, რამდენადაც კანონი ამ ეფექტს აჩენს, იგი **დადებითი** მოვლენაა, რადგანაც სოციალური სამართლიანობის „**ხმალი**" გამოჯვები თვის უმჯობესია ერთმანეთს ეპირისპირდებოდეს სოციალური კლასები, ვიდრე წოდებანი. მაგრამ აგრარული მოძრაობის ამ სფეროში გადატანას აქვს თავისი სახიფათო მიხვეულ-მოხვეულები და ის, ვინც აგრარულ კანონმდებლობას დაიწყებს, იძულებული გახდება დიდი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. საჭიროა გამოირკვეს, წინდაწინვე იქნას გათვალისწინებული ყველაფერი ის, რაც შეიძლება მოჰყვეს ზემოხსენებული კანონის ცხოვრებაში გატარებას.

თანახმად მიღებული და გამოქვეყნებული კანონისა, მამულის პატრონს რჩება შვიდი დესეტინა, დანარჩენი მამული კი მამულის პატრონს უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს საადგილმამულო კომიტეტს.

დეტალები ამ ჩამორთმევისა ჯერ გამორკვეული არ არის. მაგალითად გამორკვეული არ არის, ვინ ითვლება მამულის პატრონად—მხოლოდ ის, ვინც იურიდიულად მფლობელობს მამულს, თუ ის, ვისაც ფაქტიურად უჭირავს იგი. არის შემთხვევები, მიწის-მფლობელობის მოუწესრიგებობის წყალობით ჩვენში, როდესაც იურიდიულად მამული ერთი პირის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ მისი ფაქტიური პატრონი კი მრავალია. მაგალითად, შეიძლება მამული იურიდიულად პაპის სახელზე იყოს, ფაქტიურად კი ეს მამული ეკუთვნის მის შვილებსა და მეორე შვილისშვილებს, რომელთაც მხოლოდ კანონიერის გზით არ ჩამოუყალიბებიათ თავიანთი მფლობელობის უფლება. პაპიდან მემკვიდრეობით გადმოსული მამული ფაქტიურად რამდენიმე მისი შვილის საკუთრებაა. თვითეული მათგანი, თანახმად არსებული კანონებისა, კანონიერი მემკვიდრენი არიან მამაპაპეული მამულისა. აქვს თუ არა თვითეულ მათგანს უფლება მოითხოვოს, რომ კანონით დაწესებული ნორმა თვითეულს მათგანს ცალკ-ცალკე მიეზომოს? თუ არსებული საზოგადო კანონები მემკვიდრეობისა შეუცვლელი დარჩება, მაშინ თვითეულს მათგანს უფლება აქვს ეს მოითხოვოს. და თუ მათ ამ უფლებას წავართმევთ, მაშინ უნდა შეიცვალოს საზოგადო კანონი მემკვიდრეობისა ან მხოლოდ მემამულეებს წავართვათ ის უფლება, რომელიც საზოგადოდ ყველასთვის კანონად რჩება.

რა თქმა უნდა ეს დეტალია და შეუძლებელიცაა იგი კანონს გარდაუვალ დაბრკოლებად გადაეღობოს, მაგრამ იგი მაინც ისეთი დეტალია, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამისთანა დეტალები თუ წინდაწინვე არ იქნა მიღებული მხედველობაში, არ ივარგებს და კანონიც დიდ არევ-დარევას შეიტანს ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ეს დეტალები კი არ გვაინტერესებს, რომელთა ძლევაც ადვილია, არამედ უფრო ის ძირითადი მხარეები კანონისა, რომლებიც არსებითად სცვლიან მიწად-მფლობელობისა და მიწად-სარგებლობის სურათს ჩვენს სოფელში.

როგორც ზევითაც ვსთქვით, სეიმის მიერ მიღებული კანონი აგრარულ მოძრაობას და აგრარულ კანონმდებლობას კლასიურ ნიადაგზე აყენებს. სწორედ ამ გარემოებას სცენაზე გამოჰყავს ერთის მხრით მამულის პატრონნი, განურჩევლად წოდებისა და მეორეს მხრით უმამულონი. ნორმაზე ზევით მამული უნდა ჩამოერთვას არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ ყველას, ვისაც ნორმაზე მეტი აქვს.

თუ კანონი კანონია და არა ბუტაფორიული ხუხულა, ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს. კანონი სწორედ იმით არის კანონი, რომ იგი უფლებრივ სიმტკიცეს და ძალას აძლევს იმ სოციალურ ცვლილებებს, რომელიც რევოლიუციის პროცესში სწარმოებს. თუ კანონმდებელმა ამ გზას გადაუხვია, მაშინ თითონვე დაუკარგავს ფასს თავის კანონს და წესიერების ნაცვლად ახალ უწესობას ჩაუყრის საფუძველს.

ჩვენ გვგონია, რომ, რახან სეიმმა ზემოხსენებული კანონი მიიღო და თანაც დაუმატა, სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც ამ კანონის განხორციელებას ხელს შეუშლისო, ისიც ჩვენსავით უცქერის საკითხს და ჰსურს თავის კანონს თითონვე არ გაუტეხოს სახელი. თუ ეს ასეა, მაშინ ყველა იმის წინაშე, ვინც კანონის ცხოვრებაში გატარებას შეუდგება, აღიმართება საკითხი მიწის ჩამორთმევისა, ნორმაზე ზევით, იმათგანაც, ვინც თავად-აზნაურობის წოდებას არ ეკუთვნის, მაგრამ კანონით მიღებულ ნორმაზე კი მეტი აქვს. აი სწორედ ამ პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტის დროს კანონმდებელი შეჰხვდება დიდს შინაგან წინააღმდეგობას. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრგან შეიძლება ზოგს აზნაურს ნორმაზე ნაკლები ჰქონდეს; ბევრგან კი შეიძლება იმას, ვისაც ჩვენ გლეხს ვუწოდებდით, ნორმაზე მეტი ჰქონდეს და მაშასადამე ვალდებულიც გახდეს ზედ მეტი მამული საადგილ-მამულო კომიტეტს გადასცეს. როდესაც კანონი ამნაირი კატეგორიის მემამულესაც შეეხება,—და რომ უნდა შეეხოს, ეს თავის თავად ცხადია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში კანონს კანონის ხასიათი დაეკარგება,—მაშინ ბრძოლა დაიწყება უმამულოთა და მამულის პატრონ გლეხთა შორისაც. თუმცა ამ ბრძოლას კლასიური ხასიათი ექნება, მაგრამ ამით საქმის ვითარება არსებითად არ შეიცვლება. ზემოხსენებული კატეგორიის მემამულენი, უეჭველია კანონს დიდს წინააღმდეგობას გაუწევენ.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. იქ, სადაც დიდი მემამულენი არიან, ზედმეტი მამულის ჩამორთმევით შეიქმნება ისეთი ფონდი, საიდანაც შესაძლებელი გახდება უმამულოთა დაკმაყოფილება მიწით. მაგრამ ბევრგან არის ისეთი ადგილებიც, სადაც მიწათმფლობელობა ისეთი პატარაა, რომ ნორმასაც კი არ აღწევს. აქ არავითარი ფონდი არ შეიქმნება და უმამულო მიწის მუშა ისევ უმამულოდ დარჩება.

აგრარული საკითხი ფრიად რთული საკითხია. განსაკუთრებით გართულებულია იგი ჩვენში, სადაც ერთის მხრით ათასნაირი ფორმა არსებობს მიწად-მფლობელობისა და მეორეს მხრით კი ბევრნაირი კულტურა მეურნეობისა. კანონმდებელს რომ წინ მრავალი პრაქტიკული ხასიათის დაბრკოლება გადაეღობება, ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა არც უწინ და არც ეხლა შეადგენს. კანონმდებელი, რა თქმა უნდა, ამ დაბრკოლებებს არ უნდა შეუშინდეს და გადალახოს. ჩვენ ვერც მოვთხოვთ კანონმდებელს, ყოველნაირ პრაქტიკულად წამოჭრილ საკითხს ერთბაშად გასცეს პასუხი; მაგრამ ძირითადი ხასიათი კანონმდებლობისა და ის სოციალური მდგომარეობა, რომელიც ამ კანონმდებლობის წყალობით მყარდება, ნათლად იყოს ჩამოყალიბებული და გამორკვეული. თუ საერთო სახელმძღვანელო აზრი არ არსებობს, კანონმდებლობას ქაოტიური ხასიათი ექნება. სეიმის მიერ მიღებულ კანონს სწორედ ეს აკლია.

ტები არც აქ ამოძრავებულან და გამორკვეულან. ყველამ უწყის რომ ეს აქტი არ იყო რევოლიუციონური და დღემდე კი არ ატარებს იგი საკმაო გარკვეულობას, დღესაც არა ვართ სუვერენულ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი, თუმცა საზავო მოლაპარაკებასაც კი ვაწარმოვებთ და საერთაშორისო განწყობილებაშიც ვერევით.

მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი მოხდა „ბელადების" მოქმედების და წადილის გარეშე. აქ ისანი დადგენ მომხდარ ფაქტის წინაშე. ამიერკავკასია კი არ გამოყოფია ანარქიაში ჩათრეულ რუსეთს, არამედ ეს რუსეთი გამოეყო, ცალკე პოლიტიკური და სოციალური ხაზი აიღო. რუსეთი ჩაება ავანტიურაში და დაიჭირა პირდაპირ კურსი სოციალისტურ რევოლიუციისაკენ და აქ იგი განიავდა, დაიფუშა სამოქალაქო ომის კორიანტელში. ამიერკავკასია კი ძველ გზას გაჰყვა, სამოქალაქო ომზე უარი სთქვა... და ეს იყო მთელი რეფორმა: ჩვენ ტეხნიკურად და ორგანიულად მოვსწყდით რუსეთს ობიექტიურ პირობების მსვლელობით და უთავოდ დარჩენილმა ჩვენი საკუთარი თავი გამოვაცხადეთ თავად. ეს ყო რეალურ ფაქტის კუდში მიყოლა, მისი აღიარება, რაც აშკარა, გარდაუვალი სინამდვილის სახით აიმართა ჩვენს წინაშე. ეს დიდი აქტიც ურევოლიუციოდ ჩატარდა, სასახლის თეთრ დარბაზში ამ ფაქტის შესახებ ოფიციალური ცნობა წაიკითხეს, ხმები დაითვალეს და ამით დაბოლოვდა საქმე... არაფრის გათვალისწინება, ყოველ პერსპექტივის დახშობა და მხოლოდ არსებულის, უკვე განმტკიცებულის ოფიციალურ რეზოლიუციით აღიარება. ამაზე მეტი ობიექტივიზმის წარმოდგენა რევოლიუციის პროცესში შეუძლებელია. თითქოს რევოლიუციის ბელადნი უბრალო მეისტორიენი იყვნენ და ეს ისტორიაც ლაკონიურად იწერებოდეს რეზოლიუციის სახით.

მესამე შესანიშნავი აქტი იყო ეროვნული ჯარების შექმნა. და ამ შექმნაში იყო რაიმე ქმნა ამ „ბელადებისა?" არავითარი... რუსეთის ჯარი დაიშალა, შიგნით და გარეთ მტერი მოგვაწვა და შთანთქმას გვიპირებდა, ტერიტორიალურ ჯარში არც ერთი მოქალაქე აღარ ეწერებოდა, იმდენად ირყვნა მისი ატმოსფერა. ეროვნულ სამხედრო კავშირებს შერჩათ ცოტაოდენი გავლენა და ძალა. და თავდაცვის საკითხის სიმწვავე ითხოვდა ჯარის ნაციონალიზაციის, უკვე მომხდარ ფაქტის აღიარებას. და ჩვენმა „ბელადებმა" რეზოლიუციის სახით „სანქცია" მისცეს ამ რევოლიუციის მო- ვარს, აღნუსხეს სინამდვილე.

ოთხე და აქტი, იყო ეროვნულ ბჭოების შექმნა და ეროვნულ ყრილობათა სუროგატის მოწვევა. აქაც არავითარი რევოლიუციონური გამოსვლა და აქტიობის ჩანასახი არ სჩანდა. ეროვნული გადაჯგუფება და ეროვნულ ძალთა მობილიზაცია უკვე ჩქარის ტემპით მიმდინარეობდა. ეროვნული ჯარი ხელმძღვანელ ორგანოს ითხოვდა, გამწვავებული ეროვნული ურთიერთობა შეთანხმებას, მორიგებას ითხოვდა ეროვნულ ერთეულებისას და ამას ზედ დაერთო ქართველ თავადაზნაურობის დიდძალ ქონების გადაცემის საკითხი. და აი, ამ სინამდვილის ანგარიშის გაწევა, უკეთ ვსთქვათ, მისი შერიგება იყო საჭირო. და ჩვენი ს. დ. შეურიგდენ ამ სინამდვილესაც, გამოიტანეს რეზოლიუცია ამ ფაქტის დამადასტურებელი.

სად იყო აქ რევოლიუციონურ ენერგიის გაღვივება, ფართო მასის განმზადება, დაინტერესება.

და რომელი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოვსთვალოთ. ავიღოთ თუნდაც მიწის საკითხი. როდის გამოიცა ნორმის კანონი? როცა გლეხობა რევოლიუციონურად დაეპატრონა ყველა მიწებს უსასყიდლოდ, როცა ფაქტიურად იგი შეიქმნა ბატონ-პატრონი ამ მიწეისა. და ამ ფაქტის წინაშე დამდგარი ს. დ. მთავრობა ნორმაზე ლაპარაკობს. დღეს ეს ნორმა, გვგონია, მემამულეებს უფრო შეეხება და აინტერესებს, ვინამ მშრომელ გლეხობას.

აქაც, როგორც ჩვეულებრივ ყველაფერში, ოდნავადაც არა სჩანდა ამ „ბელადების" რევოლიუციონური შორსჭვრეტა, რაიმეს გათვალისწინება და **ხელმძღვანელობა**. მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ბელადებმა ხელმძღვანელობა იკისრეს და ვერც ერთ რადიკალურ საკითხში **ფაქტიური ხელმძღვანელობა** ვერ გამოიჩინეს. ყველაფერში და ყველგან ისინი მშრალი ობიექტივისტები იყვნენ, ამ პროცესს უკან მისჩანჩალებდნენ მუდამ... და ერთხელაც არ სცდილან ტფილისის ვიწრო ჯგუფის გარედ გაეტანათ ეს რეფორმები, ერთხელაც კი არ დაკითხეს ხალხს—რა უნდოდა მას დღესვე და უცდიდენ პასიურად რას მოგვიტანს ხვალ? და ნურავის გაუკვირდება, თუ ხალხი მათ აღარ ემორჩილება, მათი აღარ სჯერა და თვითონ ლაბირინტში იბნევა, საკუთრივ უნდა გზახსნილის პოება.

ინერციას ბელადები არ ეჭირვება, მას აქვს საკუთარი შიგნითი პროცესის კანონები, და ვისაც უნდა ამ პროცესის გარედ დარჩეს, ალღოს აღება არ იწამოს და ობიექტიურ სინამდვილეთა ნუსხა აწარმოოს, უნდა დროზე გაანებოს თავი ამ ბელადობას... იგი ფაქტიურად ბელადი არ არის, და ურევოლიუციოდ რევოლიუციონურ აქტების განხორციელება კრახისათვის. განმზადებული უტოპიაა. ან ინერციის პოლიტიკის უარყოფა, ან ბელადობაზე ხელის აღება... შუა გზა არ არსებობს.

აკ. პ—ვა.

კანონის განხორციელების შემდეგ სოფელში დაახლოვებით ასეთი მდგომარეობა შეიქმნება. მამულის პატრონთ კანონით მიკუთვნილი მამული დარჩებათ. ზედმეტი მამული კი მათ ჩამოერთმევათ და გადაეცემათ საადგილ-მამულო კომიტეტებს. გამოურკვეველია იმ მემამულეთ, რომელთაც მიწა დარჩებათ, რჩებათ აგრეთვე უფლება საკუთრებისა თუ არა. ამ გარემოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ამნაირ მამულის პატრონს საკუთრების უფლება რჩება, მაშინ ძალა-უნებურად უნდა მივიღოთ ყველაფერი, რაც ამ უფლების აღიარებიდან ლოღიკურად გამომდინარე- [illegible] შვიდი დესეტინის პატრონი ლის მესაკუთრედ რჩება, მაშინ ს უფლება უნდა ჰქონდეს ეს მამუ- იჯარითაც გასცეს, დააგირაოს და აჰყიდოს კიდეც. მესაკუთრეობის იარება ლოღიკურად მოითხოვს ამ ულების აღიარებასაც. მაგრამ შეიძ- ება ამ მხრითაც შესწორება შევი- ანოთ და ამნაირ მემამულეთა უფ- ბა **შევზღუდოთ**. მაშინ კერძო მე- უთრეობის პრინციპი სოფელში ლახული იქნება. იგი ერთის ით მესაკუთრედ იქნება მიჩნეული, რეს მხრით ეს უფლება შეზღუდუ- ი ექნება.

არდა ამნაირი კატეგორიის მემამუ- ისა, სოფელში შეიქმნება ადგი- ბრივი რამ ორგანიზაცია (ჩვენის რით იგი, უეჭველია, წვრილი სასო- ო საერობო ერთეული იქნება), მლის განკარგულებაშიაც გადავა ორთმეული მიწის ფონდი. უმამულო მიწის მუშას, ალბად, სწორედ ამ დიდან მიეცემა მიწა დასამუშავე- დ. ამ რიგად, სოფელში გაჩნდება ვარი ხასიათის მიწები: **კერძო**, ისა სრულ-უფლებიანი ან შეზ- უფლებიანი პატრონიც არის აკუთრე და **საზოგადო**, რო- ატრონადაც გამოცხადდება ები. პირველი ხასიათის მიწები მატარებელნი იქნებიან **კერძო საკუთრების**, ბურჟუაზიული, ტენდენციებისა, მეორე ხასიათის მიწები მატარებელი იქნებიან **საზოგადოებრივი**, სოციალისტური ტენდენციებისა.

ეს გარემოება პრინციპიალურ განხეთქილებას ჰბადებს სოფლის ცხოვრებაში და პრინციპიალური განხეთქილების ნიადაგზე კი აუცილებლად აღმოცენდება ფაქტიური განხეთქილება. კერძო მესაკუთრეობისა და საზოგადოებრივი ტენდენციები სოფელში დაუსრულებელი კონფლიქტების საბაბად გადაიქცევა. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ერთეულის ხელში გადასული მიწის ფონდი ძალაუნებურად გაცემულ უნდა იქმნას **იჯარით**. ეს კი ისეთი პერსპექტივაა, რომელიც ბევრნაირ შესაძლებლობას შეიცავს და ყოველ ამ შესაძლებლობას ჯეროვანი ანგარიში უნდა გაეწიოს.

მიუხედავად ყველა ამისა, სეიმის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ მაინც დიდი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და დიდს ცვლილებასაც შეიტანს. იგი არამც თუ შესაძლებლადა ჰხდის აგრარული კანონმდებლობის განვითარებას, არსებითაცა სცვლის ჩვენში არსებულ მიწით—მფლობელობას და ახალს პერსპექტივას უშლის დემოკრატიას სოციალური შემოქმედებისათვის.

წინანდელთან შედარებით ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა იგი ჩვენს მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს და მიწის საკითხს არა სწყვეტავს ისე, როგორც უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა იგი ბურჟუაზიულია და სოციალისტური შემოქმედების მავნებელ კომბინაციას წარმოადგენს, მაგრამ ამისდამიუხედავად მას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით ამიერკავკასიის იმ ნაწილებისთვის, სადაც სოციალური შეგნება ძალიან დაბლა სდგას..

არ. ჯაჯანაშვილი.

ხ. წინარეხის სარევოლიუციო ჰიმნი.

მიწავ, ნაფუზრიანო,
გვერდებს ჩაგაჭრიანო!
მინდორ-წისქვილიანო,
ხალხზე გაგყოფიანო!
წყაროვ, გემოიანო,
მუქთად დაგლევიანო!
კავთურ-თევზებიანო,
ოჩხს ვერ ჩაგიშლიანო;
ტყევ, მშვენებავ ქვეყნისა,
სხვები გაგჩეხიანო!
ჩვენ კი გაგიფრთხილდებით,
ია შროშანიანო!
მოისპენნით, წურბელნო,
ჩარჩნო დუქნებიანნო!
გენაცვლებით „ფასკუნჯო"*)
იაფ-სარგებლიანო!
შენ გაგისკდეს მუცელი,
ღვდელო ტაბლებიანო!
აჰყვავდი, გაიფურჩქნე,
სკოლავ ან-ბანიანო!
გაგვეცალე, მოხელევ,
უცხოვ, კაკარდიანო!
მოდი, ავტონომიავ,
შინ თვითმმართველიანო!
ჩვენ სხვას არავის ვერჩით
გვწყურიან, თუ გვშიანო;
„ვაი დედას" ვაძახებთ,
თუ თავს დაგვესხმიანო;
თუ არ გავიმარჯვევით,
შინ ხომ დაგვწყევლიანო?!
გაგვიძეხი, ბელადო,
შუბ ხანჯალ-თოფ ხმლიანო!
მტლედ დავედნეთ სამშობლოს:
შენდობას გვეტყვიანო!
გაუმარჯოს ქართველ ერს,
მთანიც მოგვძახიანო!

ძველი პოეტი

---

*) ადგილობრივი კოოპერატივი.

ომი

პარიჟი. 26 მარტი. ფრანგების ოფიციალური ცნობა. ჯერ-ჯერობით ფრანგების ჯარი მედგრად იცავს თავის პოზიციებს მდ. უაზის მარცხენა ნაპირზე. ნოკანის მიდამოებში გრძელდება სასტიკი ბრძოლა.

პარიჟი. დამატებით ინგლისის ოფიციალურ ცნობებისა, 26 მარტიდან. ძლიერ საჰაერო ბრძოლას ჰქონდა ადგილი მთელი დღის განმავლობაში. ჩვენ ჰაეროპლანებიდან მრავალი ყუმბარა ვესროლეთ მტრის ჯარს. ჩვენმა მფრინავებმა გააჩაღეს ძლიერი საჰაერო ბრძოლა, ჩვენმა არტილერიამ მიზანში აიღო მტრის ჯარი, ბრძოლის ზონაში რომ იმყოფებოდა და ყუმბარები დაუშინეს. მთელი დღის განმავლობაში 1700 ყუმბარაზე მეტი ჩამოვაგდეთ ბრიუჟში, ოლნოტის სადგურზე და დიდ მოედანზე კამბრეს ჩრდილოეთით. ესსას მახლობლად ჩვენ სპეციალური ზარბაზნებით დავამარცხეთ გერმანელთა ჰაეროპლანი. ჩვენი 10 ჰაეროპლანი ჯერ არ დაბრუნებულა... (გამოტოვებულია). ჩვენმა დამწველმა საჰაერო ესკადრამ კვლავ ჩამოაგდო ყუმბარები, ცეცხლში გაახვია მტერი, ბრიუჟის ნავთსადგური და სერვანის მახლობელი მიდამოები. ამ დროს გერმანელებმა ჰაეროპლანებიდან 14 ტონის ასაფეთქებელი ნივთიერება ჩამოყარეს აქ. ღამით მტრის დიდი ჰაეროპლანები იძულებული იყო ჩვენს პოზიციებზე დაშვებულიყო. ღამით ჩვენმა მფრინავებმა სხვა პუნქტებზეც მოიტანეს იერიშები, კოლონის სადგურზე, ჩვენი ყუმბარების წყალობით ცეცხლი გაჩნდა; ასევე მოხდა ლიუქსემბერგის კურსელის და მეტცის სადგურებზე. მრავალი ყუმბარა იეს ესროლეს ხიდსა, ნიუფ-ბერვილის და ნატაიმენის ჩრდილოეთით, რომელსაც ცეცხლი მოეკიდა.

ჩვენ ასაფეთქებელი ნივთიერება დაუშინეთ ტრონვილის სადგურს, რის გამოც იქ ცეცხლი გაჩნდა. ჩვენი რაზმი უვნებელი დაბრუნდა.

კონსტანტინეპოლი. 26 მარტი. პალესტინის ფრონტი მთელ ფრონტზე მალეტ - ხოშფლეტე - იორდანის ხაზით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის რაზმები ეცადნენ იერიშის მიტანას, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ ჩატარდა.

კავკასიის ფრონტი. ოსმალების ცნობა. ჩვენ დღეს ოლთისი დავიკავეთ. სხვა ადგილას ახალი არაფერი მომხდარა.

ბერლინი. 26 მარტი. ბრძოლა საფრანგეთში დიდის მედგრობით გრძელდება. ჩვენ მრავალ ადგილას გავიმარჯვეთ ფრანგებზე, იტალიელებზე და ინგლისელებზე, რომელთანაც ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. გენერ. ბიულოვის და მარვიცას არმია მედგრად იბრძოდა არხი-ლეგრანთან და გრევილესთან: ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ ძიოპონტი. ჩვენ წინ წავიწიეთ პოზიციები სომის ორივე სანაპიროებზე იმაზე წინ, ვიდრე 1916 წელს ვიყავით. ჩვენ დავიპყრეთ ქალაქები ალბერტი, ლიკონსომი, რაკომი და ნაინი. პარიჟის სიმაგრის წინააღმდეგ ვიბრძვით.

ახალი ამბავი

◆ **შახატუნის დაჭრა.** 13 მარტს საღ. 9 საათზე პუშკინის ქუჩაზე დაჭრეს „ჰორიზონის" რედაქტორი ბ. შახატუნი.

◆ **მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში.** ბორჩალოდან გვაუწყებენ, რომ მაზრაში ანარქია ფართო ხასიათს იღებს. თათრების ყალბ ელემენტებს დაურბევიათ კიდეც სოფელი მარაბდა, სამშობლო სოფელი ქართველთა მგოსანის ნიკო ბარათაშვილისა, სადაც უმეტესად მოსახლეობენ ქართველები; სოფელი მარაბდა მდებარეობს ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების საზღვარზე.

◆ **ხადახლოს დრამა.** სადახლოს დრამა დასრულდა. აჯანყებულმა თათრებმა იარაღი დაჰყარეს, ტფ. გვარდიის ხელმძღვანელს ვ. ჯუღელს გადასცეს ტყვიისმფრქვეველები და პატიოსანი სიტყვა მისცეს, რომ დარჩენილ იარაღსაც საჩქაროდ დააბრუნებენ. ბოროტგამზრახველებმა ჯუღელს გადასცეს აგრეთვე მეთაური სადახლოს დრამისა—მუსტა ეფენდიევი, რომელიც აღმოჩნდა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის და ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების თანამშრომელი.

◆ **ჯავშნიანი მატარებელი.** 14 მარტს დილა ადრიან ტფილისს მოვიდა გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელი. 11 მარტს მატარებელი საღამოთი გამოვიდა სარიყამიშიდან, რომელსაც ოსმალთა ორი ბატალიონი აწვება. ჯავშნიანმა მატარებელმა „სადახლოს დრამის ლიკვიდაციაშიაც მიიღო მონაწილეობა.

◆ **ქართველ ჯარისკაცთა კრება ბაქოში.** ბაქოდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში შესდგა 2 ათასიან ქართულ ჯარის კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს, რომ ყოველივე ღონისძიება იხმარონ სეიმის დადგენილების განსახორციელებლად მობილიზაციის შესახებ. კრებაზე ფულიც შეაგროვეს.

◆ **ხაზ. „კახეთმა"** თავის წლიურ კრებაზე დაადგინა: თებერვლიდან იხადოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ თვითეულ გაყიდულ ბოთლ ღვინოზე 10 კაპ. და წევრთაგან მიღებულ ღვინის ღირებულობის 5 პროც. ამ დადგენილების თანახმად თებერვალში გაყიდულ ღვინიდან საბჭოს ერგება 3410 მან., რაც ამ დღეებში უკვე შეიტანა. რაც შეეხება 5 პროც.-ს, ეს გადახდილი იქნება მაშინ, როცა გამოირკვევა წევრთა ღვინოების ღირებულობა. ზემოაღნიშნულ დადგენილების თანახმად საბჭოს საანგარიშო წელს 200 000 მანეთამდე უნდა შემოვიდეს.

◆ **ქართველ ხელოსან-მწერალთა საბჭოს** კრება მოხდება დღეს, საღამოს 7 საათზე საადგილმამულო ბანკის დარბაზში.

◆ **გაცარცვა.** კავკასიის მე-30 ბატალიონის მოხელემ პ. ზაქაროვმა განაცხადა სამილიციოში, რომ მას გეიდენოვის ქუჩაზე ღამით 12 მარტს დაეცნენ ბოროტ გამზრახველები. ზაქაროვს გამოართვეს 5,239 მან. და ვერცხლის საათი.

◆ **ქურდობა.** დავითის ქუჩაზე № 5 ივ. სარქისოვის ბინაზე ნაპოვნი გასაღებით შევიდნენ ქურდები. წაიღეს 3,000 მან. ძვირფასი ნივთები და ნაგანის სისტემის რევოლვერი.

◆ **გორიდან ტელეფონოგრამაა** 12 მარტს კ. ჯაფარიძესაგან სოფელ ოსიაურის (გორის მაზრა) მცხოვრებლებს იარაღი ჩამოართვეს. სოფ. კავთისხევის და ახალქალაქის მცხოვრებლები სრულ ნდობას უცხადებენ ამიერკავკასიის სეიმს და ამიერკავკასიის მთავრობას. დღეს გორში მიტინგია. აქედან ბორჯომში მივდივარ. შემდეგ ტფილისში დავბრუნდები.

◆ **ზიგდორიდან** გაზ. „ჰორიზონის" რედაქციას დეპეშით აუწყებს ექიმი მონასიანი. 11 მარტს ლტოლვილების რიცხვმა მიაღწია 22 ათას. ლტოლვილები განუწყვეტლივ მოდიან სურმალინი მაზრასკენ.

◆ **ერევნიდან იტყობინებიან**, ხანხულიაში მდგომარეობა მეტად კრიტიკულია.

◆ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რომ დღეს, საღ. 7 საათზე ეროვნულ საბჭოს კრება მოხდებაო. საბჭოს კრება ჯერ დანიშნული არ არის.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, საღ. 7 საათზე ,,სახალხო საქმის'' რედაქციაში მოხდება მთავარი კომიტეტის მორიგი სხდომა.

მობილიზაცია დასავლეთ საქართველოში

ტფილისში უკვე დაბრუნდნენ ორი კვირის წინად ეროვნულ საბჭოსაგან დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ დელეგაციის ჩვენი ამხანაგი წევრები არ. ჰუმბაძე და მიხ. საყვარელიძე. მათის სიტყვით მობილიზაციის საქმე დასავლეთ საქართველოში კარგად მიმდინარეობს. უკვე იკარგება ხალხში ის ბურუსი, რომელიც „მობოლშევიკე" ჯარის კაცებმა დაატრიალეს სოფლად. ხალხი დიდის გულის ყურითა და მწუხარებით ეპყრობა ამ საფრთხეს, რომელსაც ოსმალთა შემოსევა უმზადებს რევოლიუციასა და ქართველ ერს. მრავალი უარს ამბობს შეღავათებზე და მოხალისეობის სურვილს გამოსთქვამს. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები მრავალ ადგილს აცხადებენ—ხელახლად ვერ დავიდგავთ მონობის უღელს, ვიბრძოლებთ ბათომის დასაცავად, თუნდაც შინ დარჩენილი ცოლშვილი შიმშილით ამოგვიწყდესო". ამხანაგების სიტყვით საჭიროა საქმის საკეთილო დასაგვირგვინებლად სოფლად მტკიცე ორგანიზაციების შექმნა, რომელიც მობილიზაციის საქმეს გაუძღვება.

† ევგენი კრინიცკი

აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა.

კვირას 11 მარტს საღამოს 10 საათზე როცა მეგობრის ბინიდან შინ ბრუნდებოდა, გზაზე თავის სახლთან, უკანიდან მიეპარნენ და ხუთი სროლით გული გაუპეს და სიცოცხლეს გამოასალმეს ბათომში კარგად ცნობილს მოღვაწეს ბათომის ოლქის კომისარს ევგენი მიხეილის ძე კრინიცკს.

ევგენი კრინიცკი დიდი ხანია ბათომში ცხოვრობს, ბათომის საზოგადოება მას ძლიერ კარგად იცნობდა, როგორც მუყაით და ერთგულს მუშაკს საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე. რისთვისაც დაიმსახურა ნდობა და პატივისცემა.

განსვენებული პირველად ბათომის ,,ტამოჟნაში'' მსახურობდა, შემდეგ ის არჩეული იქნა ქალაქის გამგეობის წევრად. ქალაქის საქმეებში დიდი დაკვირვება და ნიჭი გამოიჩინა, დილიდან საღამომდი მხოლოდ და მხოლოდ მის კეთილდღეობაზე ზრუნავდა მას არ უყვარდა მუქთად ყოფნა „ჩინოვნიკობა", რომელსაც შეჩვეულნი იყვნენ ბევრგან რუსეთის ბიუროკრატიულ წყობილების მოხელენი, ასეთ პოსტზე მდგარნი. [illegible] ობდა და სხვებსაც [illegible] მოითხოვდა [illegible] ჩვენ გვახსოვს ისეთი მდგომარეობა მისი მუშაობისა ომის დროს, როდესაც ქალაქის საქმე ძლიერ გართულებული იყო, გამგეობის წევრთა კომპლექტი სრული არ იყო, მაგრამ ევგენი თავის უშრეტის ენერგიით ყოველივეს სწვდებოდა ყოველივეს უმკლავდებოდა. ეს იყო მის ქალაქის მოურაობის დროს როდესაც აირჩიეს 1916 წ, თავის მუშაობით დიდი გავლენა იქონია ქალაქის საქმეებზე, რაც ბათომის ქალაქის თვითმართველობის ისტორიაში წარუშლელი იქნება.

ის გულწრფელი მოყვარული იყო ქართველ ერისა და ამიტომ არ ღარჩენილა არც ერთი ქართული საქმე რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს, იყო საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეთაც ერთ დროს და ქართველ მაჰმადიანთა საქმეებს ერთგულად იცავდა და ეხმარებოდა.

როცა თავისუფლების სიომ დაბერა და საჭირო შეიქნა მისი განმტკიცება ევგენიც შეუდგა ამ საქმეს. ის აირჩიეს ბათომის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ. მართალია ევგენი მიმართულებით სოციალისტი არ იყო, მაგრამ გულწრფელი დემოკრატი იყო და დემოკრატიის საქმეს თავისუფლების დამკვიდრებისას ერთგულად ემსახურებოდა, რევოლიუციონური დემოკრატია მის მებაირახტარენი მას ენდობოდნენ უსაზღვროთ, რისი შედეგიც იყო ის, რომ ევგენი შემდეგ ბათომის ოლქის კომისარად იქმნა არჩეული და დამტკიცებული. ნაკისრ საქმეს კვლავინდებურის თავდადებით ასრულებდა. მაგრამ ბნელმა ძალებმა ერთგული მოამაგე რევოლიუციისა არ დაინდეს. დიდი დანაკლისია ევგენი კრინიცკის დაკარგვა ქართველი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში როდესაც მას ცოდნით და ნიჭით აღჭურვილი კაცი ძვირად უღირს და ბათომის ქართველი საზოგადოებაც გულმოკლულია და წრფელადაც გლოვს.

ბათომის დემოკრატია კი რომელსაც ამ რევოლიუციის ხანაში მასთან უხდებოდა მუშაობა ამ ერთად ერთ არა სოციალისტთან, მაგრამ გულწრფელ დემოკრატთან. არას დროს არ დაივიწყებს და იმ მუხანათებს, რომელთაც ეს საზიზღარი საქმე ჩაიდინეს, ალბად თავის ქვენა გრძნობების ზეგავლენით აღმოაჩენს და არც აპატიებს, ამით ის უჩვენებს ყველას რომ საზოგადო მოღვაწეთ და ხალხის მოამაგეთ როგორ უნდა მოვლა პატრონობა.

მაგრამ ვაი რომ ევგენის გაციებულ გვამს ეს სარგებლობას ვერ მოუტანს. განისვენე მშვიდათ დაუღალავო მოღვაწევ.

ხერ. გერხამია.

ამიერ-კავკასიის სეიმი

13 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

მდივანი **კანტემიროვი**, შემდეგ წესრიგის უკამათოდ დამტკიცებისა, მოახსენებს სეიმს მთელ რიგს მცირე მნიშვნელოვან საკითხებისას, რომელთაც სეიმი უკამათოდ იღებს. ამ დღის მთავარ საკითხს წარმოადგენს მოხსენება მთავრობისა საზავო მოლაპარაკების მსვლელობაზე.

ი. გეგეჭკორი ვრცელად მოახსენებს სეიმს ანგარიშებს იმ ხუთი სხდომისას, რომელიც ტრაპიზონში საზავო დელეგაციას ჰქონია (შინაარსი ამ ანგარიშისა ჩვენს მკითხველს უკვე მოხსენდა). ბოლოს იგი შუამდგომლობს, რომ დელეგაციის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს აკაკი ჩხენკელს მიეცეს საგანგებო რწმუნება, მიენიჭოს მას რაუფ-ბეის თანაბარი უფლება კითხვების დაყენებისა და უმეტესად თავისუფალ მოქმედებისა.

ნ. რამიშვილი. (ს. დ.) მთავრობის მოხსენებიდან ნათლად ირკვევა ორი ხაზი. ერთი, რომელიც ეყრდნობა იმ თეზისებს, სეიმმა რომ მისცა თავის დელეგაციას, და მეორე ხაზი ოსმალეთის დელეგაციისა, რომელსაც ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება დაუხვევია ხელთ და მოითხოვს მის შესრულებას.

მაგრამ ამიერკავკასიის სეიმმა ერთხმად უკუაგდო ეს ხელშეკრულება, ამაზე შესაფერი პროტესტიც განაცხადა მთავრობამ სხვა და სხვა სახელმწიფოებთან, რომელთაც ეუწყა, **რომ** იგი ხელშეკრულება მოკლებულია

ამიერკავკასიისთვის სავალდებულო მნიშვნელობას და ძალას.

როგორც მთავრობისაგან აქ წაკითხულ ანგარიშებიდან ვიგებთ, ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვს ჩვენგან დაუხანებლივ გამოცხადებას ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისას და ყურს ათხოვებს ჩვენი დელეგაციის განმარტებას, რომ ამიერკავკასია ფაქტიურად უკვე 27 ოქტომბრიდან დამოუკიდებელია.

დღეს კი—განაგრძობს ნ. რამიშვილი—როდესაც ოსმალო ჯერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვს და მხოლოდ ამის მერე სურს საზავო პირობებზე იქონიოს მოლაპარაკება, ასეთ პირობებში დამოუკიდებლობის გამოცხადება ოსმალეთის მთავრობისადმი საულტიმატუმო მოთხოვნილების წარდგენის მომასწავებელი იქნებოდა: ოსმალეთი, რომელიც ეყრდნობა ბრესტის ხელშეკრულებას და ამის ძალით ბათომის, ყარსის და არტაანის მფლობელი ჰგონია თავისი თავი, განა მიიღებს და ირწმუნებს იმ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რომელიც თავის საზღვრებში სწორედ ამ ადგილებს აქცევს?

ოსმალეთი ჩვენგან მოითხოვს ამ ადგილებს იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში მიუვალი იყოს ამიერკავკასია სხვებისთვის. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომელიც არსებითად დემოკრატიულია, უფრო მეტს საფარს წარმოადგენს, ვიდრე რამდენიმე ათეული ციხე-სიმაგრე, მით უფრო, რომ დღეს, როგორც მსოფლიო ომმა დაგვარწმუნა, მიუვალი ციხე-სიმაგრე არ არსებობს.

ამიერკავკასიისთვის მიუცილებელი საჭიროა დაუყოვნებლივი და საპატიო ზავი. ამისათვის ჩვენ მეორე ხარისხოვან საკითხების გამო, რომელნიც არსებით მნიშვნელობას არ წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენ შევქმნით ოსმალეთის მთავრობასთან კონფლიქტს და საწადელ ზავს არ დავიშორებთ.

სწორედ ასეთი სურვილი—არ შევქმნათ კონფლიქტი ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხების გამო—ჩვენ გვავალებს და გვიკარნახებს საგარეო საქმეთა მინისტრი, დელეგაციის თავმჯდომარე და ჩვენი ამხანაგი აკაკი ჩხენკელი შეიმოსოს საგანგებო რწმუნებით რომლითაც აღჭურვილია ოსმალოს დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ-ბეი. ჩვენს თავმჯდომარეს ნება უნდა ჰქონდეს კითხვების დაყენებისა და ისეთ რამის დათმობისა, რაც ჩვენ სახელმწიფოებრიობას არ ემუქრება ეს ერთად-ერთი გზაა, რომელიც ჩვენ, დიპლომატიაში გამოუცდელებს, დიპლომატიურ გამარჯვებას მოგვცემს.

მაგრამ თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი სურვილის აღსრულება, მაშინ იძულებულნი ვიქნებით თავი დავიცვათ შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც რაიმე საშიშროება, რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებისათვის თავიდან აცდენილი იქნება. ამის მოწმეა ჩვენი მრავალ საუკუნოვანი ისტორია სრული აღფრთოვანება ჩვენის პროვინციისა და ხალისიანი მობილიზაცია ჩვენის ძალებისა.

დაბოლოს, ჩვენ ვადგენთ ასეთ ფორმულას: „სეიმი, მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საზავო მოლაპარაკების მსვლელობისა, სდგას თავის გარდაუწყვეტილებაზე ოსმალეთთან ზავის საკითხში, სურს მიაღწიოს საპატიო ზავს, რომელიც მისაღები იქნება ამიერკავკასიისა და ოსმალეთისათვის, საგარეო საქმის მინისტრს და დელეგაციის თავმჯდომარეს ჩხენკელს მოსავს საგანგებო რწმუნებით".

ამ ფორმულას სეიმი უკამათოდ იღებს.

ლეჩხუმის ამბები

ლორთქიფანიძე (ს.-რ.) ჩვენი პარტია ყოველთვის ებრძოდა და ეხლაც ებრძვის ანარქიულ გამოსვლებს და ამიტომაც ჩვენი ფრაქცია მუდამ მხარს მისცემს იმ მთავრობას, რომელიც ასეთ ანარქიულ მოძრაობას შეებრძოლება. მთავრობა უწესოებასთან ბრძოლაში დაუნდობელი უნდა იყოს და ერთგვარად მომხრეც უნდა იყოს დევიზისა: მიზანი საშუალების გამამართლებელია, მაგრამ საშუალებაც არის და საშუალებაც. მოსახმარია მხოლოდ ისეთი საშუალება, რომელიც თვით მიზანს არ ეწინააღმდეგება.

რა მოხდა ლეჩხუმის მაზრაში? რაც იქ უწესოება დაიწყო, გზა დახშულია და რაიმეს გაგება შეუძლებელი გახდა მაგრამ არის ორი ვერსია. ერთი ის, რომ ხულიგანთა ერთმა ნაწილმა მოახდინა განმეორებითი არჩევანი ყველა კომიტეტისა ამ მაზრაში. მეორე ვერსიით კიდევ ამბობენ, რომ ხალხში დიდი უკმაყოფილება იყო ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტისა, რამაც გამოიწვია ხელმეორე არჩევნები და უნდობლობის გამოცხადება სამაზრო აღმასრულებელ ორგანოსადმი.

შედეგად ამისა იყო ის, რომ მთელი მაზრა გუბერნიის კომისარმა კაჩუხოვმა კანონ გარეშე გამოაცხადა. მაგრამ ვიდრე მთავრობა ასეთ მკაცრ ზომას მიმართავს, საჭიროა საქმის არსებითად გაცნობა, წინასწარ აწონდაწონვა და მერე ზომების მიღება.

კაჩუხოვის ბრძანება, როგორც თქვენ დარწმუნდებით, არც ფორმით და არც არსებითად დემოკრატიული არ არის. კაჩუხოვი ბრძანებაში სწერს, რომ ხაზინას და ყოველგვარ დაწესებულებას, აგრეთვე მეზობელ მაზრების ორგანოებს ეკრძალებათ კავშირი იქონიონ ამ მაზრასთან, ებრძანებათ ყველგან გზების შეკვრა, რადგან მთელი მაზრა, როგორც კონტრ-რევოლიუციონური, კანონ გარეშეა გამოცხადებული.

მე პირადად მომხრე ვარ მეორე ვერსიისა და ვაცხადებ, რომ საზიარო თავდებობის დრომ ჩაილურის წყალი დალია, ამისთვის შეუძლებელიცაა მთელი მაზრის კანონ გარეშე გამოცხადება, მით უფრო რომ ლეჩხუმის მაზრის უმრავლესობა კონტრ-რევოლიუციონური კი არ არის, არამედ რევოლიუციონერია და დიდი მოსურნეა სარევოლიუციო წესი იქმნას მაზრაში განმტკიცებული.

ასეთ ბრძანებით საქმე არ გარიგდება და შეუძლებელიცაა, როცა გორის და თელავის ხალხს, ხულიგნებისაგან შეწუხებულს, დახმარება ეგზავნება, ლეჩხუმელებთან არავის უშვებენ, გზებს ჰკრავენ, მაზრას კონტრ-რევოლიუციონურად აცხადებენ.

კანონ გარეშე გამოცხადებას სწორედ ის ანარქია მოჰყვება, რომელსაც თქვენ ებრძვით. გაიხსენეთ, როცა ბოლშევიკებმა სახალხო თავისუფლების პარტია კანონ გარეშე გამოაცხადეს, ამას მოჰყვა შინგარიოვის და კოკოშკინის მკვლელობა. ცნობილი მარკოვი მკვლელებს, თუ მათ აღმოაჩინნდნენ, დაცვას აპირებდა. რად? იმიტომ, რომ მკვლელები კანონიერების ნიადაგზე იდგნენ და კანონ გარეშე გამოცხადებულ ხალხს სდევნიდნენ. ლეჩხუმშიაც ანალოგიური მოვლენა მოსალოდნელია. მე თითონ ვნახე რამდენიმე სვანი, რომელიც იმუქრებოდა: ლევან დადეშქელიანის სისხლს უეჭველად ავიღებთო. ვისზე უნდა აიღონ? იმათზე ალბად, ვინც კანონ გარეთაა გამოცხადებული.

მე პირადად მოქალაქე კაჩუხოვს არ ვიცნობ. მაგრამ საჭიროდ კი მიმაჩნია, რომ მეორე თანამდებობაზე და ისიც წარმატებით ისეთი პირი არ დაინიშნოს, რომელიც ერთ თანამდებობაზე შეუფერებელი აღმოჩნდა. ეს ძველი მთავრობის ჩვეულება და პრაქტიკაა. ახალ მთავრობას ასეთ ჩვეულების სრული დავიწყება უნდა მოვითხოვოთ და გამოუსადეგარ ხალხს წარმატება კი არ უნდა მიეცეს, არამედ სამსახურიდან უნდა გადააყენონ.

(ხმები: რა ფაქტები გაქვთ კაჩუხოვის საწინააღმდეგო?)

მე ვეყრდნობი თქვენი ამხანაგების (მიუბრუნდება ს.-დემოკრატებს) სიტყვებს. (ხმები: რომელ ამხანაგებისა?) მათ გინდ ეხლავე კათედრიდან დაგისახელებთ, გინდ კერძოდ, რომელთაგან გამიგია, რომ კაჩუხოვის, როგორც მილიციის უფროსის, ტფილისში კმაყოფილნი არ არიან.

და ბოლოს მე ვეკითხები მთავრობის თავმჯდომარეს და შინაურ საქმეთა მინისტრს იციან თუ არა მათ ლეჩხუმის ამბები და რა ზომებია მიღებული.

გიორგაძე. (ს. დ.) ქუთაისის ორგანიზაცია ესერებისა ლორთქიფანიძის განცხადების წინააღმდეგ—თვალსაზრისზე სდგას. ასე რომ მისი განცხადება ერთგვარი მობოდიშებაა ქუთათურ ამხანაგების მაგიერ. მაგრამ მე ვეკითხები ლორთქიფანიძეს: იცის თუ არა მან, რომ ქუთაისის ორგანიზაცია მობილიზაციის წინააღმდეგია, რომ იგი ეწინააღმდეგება მიწის საკითხს?

ვითარება ლეჩხუმის მაზრისა მენშევიკებმა ქუთაისში მშვენივრად იცოდნენ. მიწის მფლობელთა ერთმა ნაწილმა ამ ერთი წლის წინად მოჰკლა შანშე გელოვანი და მისი მკვლელები დღესაც თავისუფლად დათარეზობენ ლეჩხუმის მაზრაში. როცა მიწის მფლობელებთან დაბრუნდნენ ჯარისკაცები, მათ მოაწყეს ორგანიზაცია, რომლის მიზანია არსებულ წესიერების შერყევა და სარევოლიუციო ორგანოებთან ბრძოლა. ასეთ ორგანიზაციის საქმე იყო ჩვენი ამხანაგის—მაზრის კომისრის ლევან დადეშქელიანის მოკვლა.

კანონ გარეშე გამოცხადება და ასეთ განსაკუთრებულ ზომების მიღება საჭირო იყო იმისთვის, რომ ხალხმა გაიგოს, რაში არის იგი დამნაშავე და რად დაატყდა მას ასეთ უბედურება.

ინტერპარტიული კომისია არ შეუშვით იმიტომ, რომ იგი შესდგებოდა ბოლშევიკებისაგან, რომელნიც ყველგან ანარქიას ამტკიცებენ და იმ ესერებისგან, რომელნიც მობილიზაციის ეწინააღმდეგებიან და მიწის რეფორმას, სეიმისგან 7 მარტს მიღებულს, ებრძვიან. შესაძლებელი იყო ასეთ ხალხის იქ გაშვება.

თქმა: „კანონ გარეშე" შეიძლება რედაქციულად უხერხულად არის ნახმარი, მაგრამ არსებითად ეს თქმა ნიშნავს მხოლოდ ანარქიასთან ბრძოლას.

ნ. რამიშვილი. მენშევიკების ფრაქცია წინადადებას აძლევს ყველას, ვინც კი რაიმე ფაქტი იცის ქუთაისის საგუბერნიო კომისარის გამოუდეგარობისა, განაცხადონ ეს და მთავრობაც და ჩვენი ფრაქციაც ამას მხედველობაში მიიღებს.

ნ. ქარცივაძე, შინაურ საქმეთა კომისრის თანაშემწე, მოახსენებს სეიმს, რომ მთავრობას ლეჩხუმის ამბების გამო არავითარი ცნობა არ მიუღია. რა მიიღებს, დაუყონებლივ მოახსენებს სეიმს.

ლორთქიფანიძე. მოვითხოვ, რომ შეკითხვა ვადიანი იყოს.

მე ვაცხადებ, რომ კაჩუხოვის ცნობა მე არა მაქვს, მაგრამ ვაცხადებ, რომ ამ პირის გარშემო აქაც და იქაც იქნება არა სასურველი განწყობილება და ურთიერთობა. როდესაც ადმინისტრატორს არც გავლენა აქვს და არც პოპულიარობა. იგი იმ თანამდებობას არ შეეფერება. რატომ გიორგაძის წინააღმდეგ არ ამხედრდნენ და რატომ ქუთათური ეს-ერები მოითხოვენ გიორგაძის კვლავ დაბრუნებას?

შემდეგ ახალი მთავრობის შემადგენლობას მოახსენებს სეიმს, კაბინეტის თავმჯდომარე ევგ. გეგეჭკორი.

სია მინისტრებისა ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ახალ ამბად.

შემდეგ **ე. გეგეჭკორი** კითხულობს **მთავრობის დეკლარაციას.**

იგი მოკლედ ასეთია:

პირველი მიზანი მთავრობისა არის მტკიცე და საპატიო ზავის შეკვრა ოსმალეთთან.

მეორე მიზანი იქნება განმტკიცება რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებათა: მიწის უსასყიდლოდ გადაცემა, მუშათა კლასის ყოფის გაუკეთესება, შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის ნორმალურად დამარაგება, ფართო დაზღვევა მუშებისა, რვა საათის სამუშაო დღე და სხ.

მესამე მიზანს ახალ მთავრობისას შეადგენს მმართველობის აპარატის გაუმჯობესება, რისათვის ბევრი ძველი დაწესებულება დაიხურება, არსებული შტატები შემცირდება, სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება პურსა, ნავთზე, შაქარზე, დაწესება კონტროლისა ბანკებზე, გადასინჯვა ტარიფებისა და ბეგარისა.

მეოთხე მიზანი მთავრობისა იქნება შექმნა რეალ ძალისა, რისთვისაც ეროვნულ საბჭოების ძალა უნდა ერთ ცენტრალ მთავრობას დაექვემდებაროს.

ამის განხორციელებისთვის საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობის გამორკვევა და გადაწყვეტა, ამისთვის საჭირო იქნება გადამიჯვნა ტერიტორიისა და შექმნა ეროვნულ-ტერიტორიალურ კანტონებისა.

შემდეგ ასეთ დეკლარაციისა **ირაკლი წერეთელი** მენშევიკების ფრაქციის მხრით, კადეტი **ხუმიონოვი**, **არუთიუნიანი** დაშნაკლების მხრივ და **რასულ-ზადე** „მუსავათის" მხრივ აცხადებენ, რომ ყველანი მხარს მისცემენ მთავრობას. უკანასკნელი იმით განირჩევა სხვებისგან, რომ ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უყურებს სეიმს და ახლად შემდგარ მთავრობას მისი პარტია: სეიმი დამფუძნებელი კრებაა, რომელმაც ამიერკავკასიის კონსტიტუცია და ძირითადი დებულებანი უნდა შეიმუშაოს, ხოლო მთავრობა დროებითია.

შემდეგ სეიმი იღებს ასეთ რეზოლიუციას: „მოისმინა რა მთავრობის დეკლარაცია, რომელსაც ამიერკავკასიის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია და ერი შეადგენს, სეიმი აღუთქვამს ყოველგვარად დახმარებას დეკლარაციის ცხოვრებაში გასატარებლად და გადადის მორიგ საქმეებზე".

ბოლოს ონიაშვილის წინადადებით სეიმი ადგენს მიწის საკითხის გამო გამოსცეს მოწოდება სამ ენაზე, რის მერე სეიმის სხდომა სრულდება.

მოწერილი ამბები.

ს. მოლითი (შორაპ. მაზ.) ამ ბოლო ხანებში ცხოვრების ნაძირალები აქაც შეუდგნენ მოქმედებას: ძმებს, რაზმელებს და რკინის გზის მოხელეებს ერთის მხრით და მოსულ ჯარის კაცებს მეორეს მხრით, ამხედრებენ ერთი მეორის წინააღმდეგ. რაზმელები ბურჟუების შეკ დულია თქვენს წინააღმდეგო და სხვა. როდესაც გამოცხადდა მობილიზაცია, კრებებზე ხალხს უთხრეს, თქვენ გგონიათ მართლა ოსმალები მოდიანო? არა ეს მდიდრების საქმეა, მათ უნდათ ჩვენ გავწყდეთ და მერე მათ იბატონონო. ასეთმა პროვოკაციამ ზოგიერთ მოსულ „მობოლშევიკე" ჯარის კაცი აამხედრა. ჩვენ ლენინმა დაგვითხოვა და მანვე უნდა მოგვითხოვოსო ამბობდნენ ესენი და ჯარის კაცები არ ცხადდებოდნენ სამხედრო საკრებულოში. ამას თუ დაუმატებთ ზოგიერთი შეიარაღებული ჯარის კაცის თვითნებობას, თოფების წარამარა სროლას, ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რატომ გამწვავდა ისე საქმე, რომ მოსალოდნელი იყო საშინელი ამბების მოწმე გამხდარიყავით. რასაკვირველია, პროვოკაციის წყალობით, რამდენიმე ჯარის კაცმა 4 ამ მარტს, აქედან გააძევა ადგილობ. სოც.-დემ. (მენშ.) ორგანიზაციის თავმჯდომარე ლ—ძე, რომელიც შეგნებული ჯარის კაცების წყალობით სიკვდილს ძლივს გადურჩა. 5 მარტს აქ დანიშნული იყო მიტინგი შორაპ. მაზ. მუშათა საბჭოს განკარგულებით. მიტინგი წარმომადგენელის მოსვლამდის გახსნეს ჯარის კაცებმა და დაიწყეს სხვა და სხვა საკითხების გარჩევა. დაახლოვებით 1 საათზე მოვიდა მატარებელი, საიდანაც გადმოვიდა 30-დე შეიარაღებული რაზმელი მათ შორის ზემოხსენებული ლ—ძე შეიარაღებული. ხალხმა იფიქრა, გუშინ ის გავაძევეთ, დღეს კი შეიარაღებული მოდისო და დაიწყო ჩოჩქოლი. რამდენიმე შეიარაღებული ჯარის კაცები ჩაეფრინდა „მტრის" მოლოდინში და რაზმის მეთაურს კი კაცები გაუგზავნა, რისთვის მოდიხართო. ამ დროს მიტინგზე მოვიდნენ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი შ. შა—ძე და მუშათა საბჭ. ს. გო—ძე, რომელთაც აუხსნეს ხალხს, რომ რაზმი მოვიდა გამოსასალმებლად, რადგან ომში მიდიანო, და არა თქვენ წინააღმდეგ; ლ—ძე რაზმში ჩაეწერა და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით და სხვა. მაგრამ ვერავითარმა ცდამ ვერ გასჭრა, რაზმი კრებაზე არ მიუშვეს და მათ, შა—ძეს და გ—ძეს არ მისცეს საშუალება ლაპარაკისა; რასაკვირველია, რამდენიმე პირის წყალობით, საქმე გამწვავდა. ორი კუთხიდან შეიარაღებულნი, შუაში კი უდანაშაულო სოფლელი ხალხი! ერთი თოფის გასროლა და საშინელი ამბავი დატრიალდებოდა, მაგრამ შეგნებული ჯარის კაცების და სხ. წყალობით ეს არ მოხდა, რაზმი მატარებლით გაბრუნდა და შეშინებული ხალხი დაიშალა. მეორე დღეს ასე 11 ს. მოლითს ეწვია ყვირილიდან და ხაშურიდან შეერთებული რაზმი, რომელიც მოედო სოფლებს, მოკრიბა თოფები და რამოდენიმე კაცი დაატუსაღა. ამან ცოტა თუ ბევრად გავლენა იქონია და ხალხმა გადაწყვიტა გაეგზავნათ ყველა მოთხოვნილება. 8 მარტს მოხდა კრება ადგილ. აღმას. კომიტ., ინტელიგენციისა და სოფლის ასის თავებისა და ათის თავების. კრებამ მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბების გამო და დაადგინა სასტიკად ებრძოლოს კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს. ამ მიზნით არჩეულ იქმნა თვითდაცვის კომიტეტი: სამი სოფლელი, ორი ჯარის კაცი და ორი რკინის გზის მოხელე, რომელიც ეცდება მოსპოს შექმნილი გაუგებრობა, ეს კომიტეტი იმუშავებს ადგ. კომიტეტთან ერთად, შეადგენს აგრეთვე რაზმს 40 კაციანს.

9 მარტს მოლითში თავი მოიყარა ყველა გასაწვევმა ახალგაზრდამ და წითელი დროშებით გაემგზავრა ყვირილაში, სამხედ. საკრებულოში. ზოგი სურვილითაც კი წავიდა.

ასეთ განსაცდელში ჩააგდეს მშვიდობიანი მცხოვრებნი თავისუფლების მტრებმა, რომელთაც შეიძლება შემდეგშიაც განაგრძონ მოქმედება, მაგრამ იმედია კომიტეტი შესძლებს მათ ალაგმვას.

ჩამორჩენილი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სადამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ქ. ქავქაზში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მახაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყირიმიანოვის ქ. № 6.

ექიმი
თოკანაძე
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მუქრაზიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—პლექის გულისა ახალს რენტგენელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილ. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9 $^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებელი [illegible] ქალაქის საზებიო სამშობიაროს და ინ[illegible] ავადმყოფობის მიიღებს საზებიოდ საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფუბანი. 1002

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის ავადმყოფთა საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 100

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. სადამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—
საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის
№ 11. 294

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პრ
პექტი № 117.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
დამის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სტ
შვილისა. ტელეფ. 5— 1030

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულოს ავადმყოფთ ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 20

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვ
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე სად. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

გაზეთი „**სახალხო საქმე**" ღირს:
ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.